



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 107 (3591)

2 ივნისი, 1968 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


## ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები — ფინალში

ოლიმპიური ფინალური ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად გუშინ ოსტრავაში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: ჩეხოსლოვაკია: ვენცელი, პივარნიკი, იარაბეკი, ხაგარა, ტესარჟი, პლასი, შტრუნცი, იურკანინი, პოლაკი, ბარტალსკი, ჩაპკოვიჩი; სსრ კავშირი: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ლოგოფეტი, ანიჩკინი (მალოფეევი), ნოდია, ჩისლენკო, ბანიშევსკი, ევრიუჟიხინი.

შესვენებამდე თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. 21-ე წუთზე პოლაკმა ანგარიში გახსნა, 25-ე წუთზე კი პივარნიკმა მეორე ბურთი გაიტანა საბჭოთა ნაკრების კარში.

მეორე ტაიმში სტუმრები ამაოდ ცდილობდნენ თამაშის სადავეების ხელში აღებას: 73-ე წუთზე პშენიჩნიკოვის უხეში შეცდომის შედეგად მათს კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა — 0:3.

ამრიგად, ორი შესარჩევი მატჩის ჯამში (2:3, 3:0) გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა (5:3), რომლებმაც მოიპოვეს XIX ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

## სსრ კავშირის პირველობა

### გუშინ...

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელები ტაშკენტში შეხვდნენ ადგილობრივ „პახტაკორს". უაღრესად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

### I „ა" ჯგუფი

დონეცკის „შახტიორმა" თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

**„ნეფტჩი" — „ლოკომოტივი" 0:1**
**ცსკა — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:2**
**„კრილია სოვეტოვი" — „დინამო" (მოსკოვი) 2:2**
**„კაირატი" — „არარატი" 0:0**
**„ზენიტი" — „დინამო" (კიევი) 1:0**

### II „ა" ჯგუფი

**III ქვეჯგუფი**

**ძირითადი შემადგენლობანი**

მდგომარეობა 2 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 10 | 7 | 2 | 1 | 18—5 | 16 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 11 | 6 | 3 | 2 | 14—9 | 15 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 10 | 5 | 4 | 1 | 6—1 | 14 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 11 | 4 | 5 | 2 | 14—10 | 13 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 10 | 5 | 2 | 3 | 17—6 | 12 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 10 | 5 | 2 | 3 | 7—4 | 12 |
| „დინამო" (ბათუმი) | 11 | 4 | 4 | 3 | 9—8 | 12 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 10 | 4 | 3 | 3 | 9—6 | 11 |
| „ვოლგა" (გორკი) | 10 | 4 | 3 | 3 | 9—7 | 11 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 10 | 3 | 5 | 2 | 8—6 | 11 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 10 | 3 | 5 | 2 | 7—5 | 11 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 10 | 2 | 6 | 2 | 6—5 | 10 |
| „თერგი" (გროზნო) | 10 | 4 | 2 | 4 | 10—10 | 10 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 11 | 3 | 4 | 4 | 7—11 | 10 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 11 | 3 | 4 | 4 | 6—10 | 10 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 11 | 3 | 2 | 6 | 12—14 | 8 |
| „სტროიტელი" (უფა) | 11 | 1 | 6 | 4 | 11—15 | 8 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 11 | 1 | 6 | 4 | 9—14 | 8 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 10 | 1 | 5 | 4 | 6—9 | 7 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 11 | 1 | 4 | 6 | 7—17 | 6 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 11 | 1 | 3 | 7 | 6—21 | 5 |

## ჭადრაკის მერიდიანებზე

### დაწინაურდა პეტროსიანი

მოსკოვში მიმდინარეობს დედაქალაქის მოჭადრაკეთა ტრადიციული, 46-ე პირველობა. მასში მონაწილეობენ დიდოსტატები: მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ა. სუეტინი (ახლახან გახდა მოსკოველი), რ. ხოლმოვი, ი. ავერბახი, ვ. სიმაგინი, დ. ბრონშტეინი, ვ. ლიბერზონი, ლ. შამკოვიჩი, საერთაშორისო ოსტატი ა. ხასინი, ოსტატები: მოსკოვის 1967 წლის ჩემპიონი ა. ვოლოვიჩი, ა. ბიხოვსკი, ი. ესტრინი, ო. მოისეევი, ბ. გულკო, ი. ზაიცევი და გ. აგეიჩენკო.

4 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო პეტროსიანმა — 3 ქულა. აი, მისი შედეგები ტურების მიხედვით: I ტური: ყაიმი სუეტინთან, II — მოუგო ხასინს, III — ყაიმი ზაიცევთან, IV — მოუგო აგეიჩენკოს.

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება სუეტინი.

### ოლაფსონის ხათრით

რეიკიავიკი, 1 ივნისი. ისლანდიის დედაქალაქში დღეს იწყება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატი მ. ტაიმანოვიც მონაწილეობს. საინტერესოა, რომ ეს შეჯიბრება ზამთრობით იმართებოდა და ამჯერად იგი ამ დროისთვის დიდოსტატ ფ. ოლაფსონის ხათრით გადმოიტანეს. საქმე ის არის, რომ ისლანდიელი მოჭადრაკე ზამთარში უნივერსიტეტის დამთავრების საქმეებით იყო დაკავებული, ხოლო უმისოდ ტურნირი უინტერესო იქნებოდა.

## ექსპრეს საათი!

### მეთერთმეტე „ელვა"

◆ ალბუკერკი (ნიუ-მექსიკოს შტატი), 1 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ამერიკელმა სტუდენტმა ოლივერ ფორდმა 100 მ ზუსტად 10 წამში გაირბინა — გაიმეორა ა. ჰარის (გფრ) 1960 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი ყველაზე მოკლე სპრინტერულ დისტანციაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ქალაქი ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. რეკორდის თანაავტორის სიტყვით, 100-მეტრიან მანძილზე გამოსვლა მან სულ 2 კვირის წინათ დაიწყო. მისი ძირითადი „სპეციალობა" 220 და 440 იარდზე რბენაა. ფორდი მეთერთმეტე „ელვაა", რომელმაც 100 მ 10 წამში დაფარა, მაგრამ, ალბათ, ერთადერთია, ვინც ეს საქმაოდ ძლიერ პირქარში შეძლო. უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი მანამდელი რეკორდი ამ დისტანციაზე — 10,2 წამიც ათჯერ გაიმეორეს და მერე დაამხეს.

**მძლეოსნობა**





## ჩვენი ყვავილები

გუშინ მეცხრამეტედ აღინიშნა ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღე. ჩვენი ქვეყნის ყვავილები, — ასე უწოდებენ საბჭოეთში ნორჩ თაობას. ჩვენში ყველაფერი საიმისოდ კეთდება, რომ ბავშვები იყვნენ ჯანმრთელნი, ბედნიერნი და რომ არასოდეს იყოს ომი, დაე, მუდამ იყოს მზე.

აი, ეს პატარაც, ბურთს რომ დაუფლებია (ზედა სურათზე), ჩვენი მომავალი თაობის ერთ-ერთი წევრია. ვინ იცის, გავა თხუთმეტიოდე წელი და ეს ბიჭუნა თავგამოდებით დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო პრესტიჟს.

* * *

შარშან სექტემბერს გლდანში მუშაობას შეუდგა ნორჩ სპორტსმენთა აღზრდის ახალი კერა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეორე რესპუბლიკური სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატი. სკოლაში კულტივირებულ სპორტული ტანვარჯიშისა და ჩოგბურთის სექციებში გაერთიანებულია 300 ბიჭი და გოგონა. მათ აღზრდას ხელმძღვანელობენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები: დ. კინწურაშვილი, გ. აბალაძე, გ. საბაშვილი, ზ. ლოლობერიძე, ვ. კიღურაძე, ე. ინასარიძე, შ. ძამაშვილი და სხვ.

ქვედა სურათზე: სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები — ნორჩი ჩოგბურთელები საწვრთნელი მეცადინეობის წინ.

ფოტო გ. გოგნიაშვილისა და ი. იუნაევისა.

# „...მაინც ჭიდაობას"

საბჭოთა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს ახლახან დამთავრებულ ევროპულ ჩემპიონატში, რომელსაც შვეიცარიის ქალაქი ლოზანა მასპინძლობდა. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ოქროს 3 და ვერცხლის ამდენივე მედალი მოიპოვეს, რაც მეტია რომის შარშანდელი პირველობის ნადავლზე (ოქროსა და ვერცხლის 2-2 მედალი). საბჭოთა ათლეტებიდან ლოზანაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფირუზ მარტყოფლიშვილმა (მსუბუქი წონა), როინ მაღალთაძემ (ქვესაშუალო) და ვლადიმერ საუნინმა (აბსოლუტური კატეგორია), რომლებსაც პირველად მიეკუთვნათ ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდება. კარგად გამოვიდა „ვერცხლის ტრიო" — სერგეი სუსლინი (მსუბუქი), ოთარ ნათელაშვილი (ქვესაშუალო) და ანზორ კიკნაძე (მძიმე).

როგორც ხედავთ, საბჭოთა გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც 6 მედლიდან 4 შინ წამოიღეს. სამშობლოში დაბრუნებულ „ლოზანელებს" ესაუბრა „ლელოს" რედაქციის სპორტის განყოფილების გამგე ნ. ბუზუშვილი (მარტყოფლიშვილი საუბარს ვერ დაესწრო). ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.



ფ. მარტყოფლიშვილი



რ. მაღალთაძე



ო. ნათელაშვილი



ა. კიკნაძე

**● რა ადგილს აკუთვნებთ თქვენს სპორტულ ცხოვრებაში ლოზანის ჩემპიონატს?**

ა. კიკნაძე: ჩემთვის მას განსაკუთრებული არაფერი მოუცია. ევროპული მასშტაბის ოფიციალურ ჩემპიონატებში ექვსჯერ ვარ გამოსული და 8 უმაღლესი ჯილდო მოვიპოვე (ოთხჯერ — აბსოლუტურ კატეგორიაში და ამდენჯერვე მძიმე წონაში). ორჯერ მივიღე მონაწილეობა მსოფლიო პირველობაში და ერთხელ — ოლიმპიურ თამაშებში. ასე რომ, ლოზანის ტურნირი ჩემთვის ჩვეულებრივი, რიგითი ასპარეზობა გახლდათ.

რ. მაღალთაძე: საერთაშორისო ტურნირებში წარმატებას გემო პირველად შარშანწინ გავუგე, როცა სტუდენტთა მსოფლიო პირველობაში ვერცხლის მედალი დავისაკუთრე. ბედნიერი ვიქნები, თუ ლოზანის ტურნირი ოქროდ დამებედება.

ო. ნათელაშვილი: უცხოეთის ტურნირებში მე როინზე მეტად ვარ ნაწრთობი. შარშან ამერიკის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიში გამართულ მსოფლიო პირველობაშიც კი ვცადე ძალა. იქ დაკავებული V ადგილი საფუძვლად დაედო ჩემს წლევანდელ წარმატებას ჯერ ბერლინის საერთაშორისო ტურნირში (I პრიზი), შემდეგ კი ლოზანის ჩემპიონატში.

**● რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდათ ლოზანაში ყველაზე მეტად?**

ა. კიკნაძე: ორთაბრძოლა ავსტრალიელ ბუტკასთან, რომელშიც ფეხი ვიტკინე. მერწმუნეთ, ეს საბედისწერო შემთხვევა რომ არა, ევროპის ახალ ჩემპიონს სულ სხვაგვარად გავუმასპინძლდებოდი.

რ. მაღალთაძე: წმინდა გამარჯვება ინგლისელ ათლეტთან, რამაც ოქროს მედლისკენ გამიხსნა გზა. სხვაგვარად ფინალში ჩემი გასვლის საკითხი საკმაოდ სათუო იქნებოდა.

ო. ნათელაშვილი: შეხვედრა ჰოლანდიელ ვან დერ ჰოლთან, რომელიც, მართალია, მოვიგე, მაგრამ ჩემთვის მაინც საბედისწერო აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლანდიელმა მისდაუნებურად საკმაოდ სერიოზულად დამიზიანა კისერი. კარგი, რომ მხოლოდ ფინალური პაექრობა მქონდა დარჩენილი და ისიც ჩემს მეგობართან — მაღალთაძესთან.

**● რომელი ძიუდოისტი მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

ა. კიკნაძე: მას შემდეგ, რაც სარბიელი დატოვეს ნიჭიერმა ჰოლანდიელებმა გეეზინკმა და რიუსკამ, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. გეეზინკი ძიუდოს ნამდვილი ფენომენი იყო, ხოლო მისი მემკვიდრის რიუსკას შესახებ გეტყვით მხოლოდ, რომ მას დღესაც არ ჰყავს ბადალი, ოღონდ კეტჩში. ლოზანაში უცხოელთაგან სხვებზე მეტად მომეწონა გლანი (გფრ), რომელიც გახდა კიდეც ჩემპიონი და ჰოლანდიელი სნაიდერსი. ამ უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღო მხოლოდ გუნდურ ასპარეზობაში და ყველა ბრძოლა წმინდად მოიგო. სხვათა შორის, სნაიდერსი საშუალო წონის ათლეტია, მაგრამ გუნდის საჭიროებისთვის, როგორც ხედავთ, საკმაო წარმატებით გამოვიდა ქვემძიმეშიც. საბჭოთა ძიუდოისტებიდან ყველაზე მეტად გამახარა მარტყოფლიშვილმა. ამ ნიჭიერმა ათლეტმა დიდი ხანია დაიმსახურა ადგილი სსრ კავშირის ნაკრებში, მაგრამ ოფიციალურ ჩემპიონატში რატომღაც მხოლოდ წლეულს მოხვდა.

რ. მაღალთაძე: უცხოელთაგან — სნაიდერსი, ჩვენებიდან — კიკნაძე, რომელიც უეჭველად გახდებოდა ჩემპიონი, ფეხი რომ არ ეტკინა.

ო. ნათელაშვილი: მე კი მომეწონა გერმანელი ჰოფმანი, რომელმაც არ იცის, რას ნიშნავს დაცვა. ჰოფმანი სულ მუდამ შეტევაზე იყო და აკი გახდა კიდეც ჩემპიონი საშუალო წონაში. გამაოცა ანზორ კიკნაძის ნებისყოფამ. ნატკენი, ნემსით გაყუჩებული ფეხით, მან ფინალისკენ გაიკაფა გზა და იქაც დაიმსახურა გამარჯვება, რომელიც მსაჯებმა სრულიად უმიზეზოდ მიანიჭეს... გერმანელს.

**● რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ლოზანაში?**

ა. კიკნაძე: ბუნება. ასეთი ლამაზი, სუფთა და მყუდრო ქალაქი ჯერ არც მინახავს.

რ. მაღალთაძე: ქალაქის თავისებური, ლამაზი კოლორიტი და გულთბილი, სტუმართმოყვარე ხალხი.

ო. ნათელაშვილი: მწვანე ხავსი, რელიეფი და სისუფთავე.

## „ლელო" ინტერვიუ

**● უცხოეთის რომელ ქვეყანაში ან ქალაქში გამოსვლა განიჭებთ ყველაზე მეტ სიამოვნებას?**

ა. კიკნაძე: ტოკიოში (მე მგონი, ეს „კანდიდატურა" განმარტებას არ საჭიროებს) და მადრიდში.

რ. მაღალთაძე: შვეიცარიაში, კერძოდ, ლოზანაში.

ო. ნათელაშვილი: იაპონიის ნებისმიერ ქალაქში.

**● თქვენ ყველანი ძიუდოში ჭიდაობის სხვა სახეობებიდან ხართ მოსული. როგორ შეეთვისეთ მას?**

ა. კიკნაძე: რაღა დროს ჩემს შეთვისებაზეა ლაპარაკი! ძიუდო უკვე ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი. უმჯობესია, ამ შეკითხვაზე როინმა და ოთარმა გიპასუხონ.

რ. მაღალთაძე: ძიუდოში ყველაზე მეტად მომწონს სისწრაფე და აზარტულობა. კარგია ისიც, რომ გამბედავ მოჭიდავეს გამარჯვების შანსი მუდამ აქვს.

ო. ნათელაშვილი: რა თქმა უნდა, შევეთვისე, მაგრამ ერთი რამ მაინც არ მომწონს. ძიუდოში, ჭიდაობის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, შეიძლება ყოველ ხუთ წუთში გამოგიძახონ სარბიელზე. ჩვენ ხშირად დღეში 9-10 ბრძოლას ვატარებთ. ჩემი აზრით, ეს წესი გადასასინჯია.

**● სპორტის რომელ სახეობას სცემთ პატივს ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ჭიდაობის შემდეგ?**

ა. კიკნაძე: მე, როგორც ძველი ფეხბურთელი, ფეხბურთს.

რ. მაღალთაძე: ცურვას.

ო. ნათელაშვილი: კრივს.

**● შესაძლებელი რომ იყოს ყველაფრის თავიდან დაწყება, სპორტის რომელ სახეობას აირჩევდით?**

ა. კიკნაძე: მაინც ჭიდაობას.

რ. მაღალთაძე: ცურვას ან ჩოგბურთს. ჭიდაობა ძალიან მომქანცველია, განსაკუთრებით მისთვის, ვინც წონას იკლებს.

ო. ნათელაშვილი: ისევ ჭიდაობას, ოღონდ, თავისუფალს.

## ვამაყობთ

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა და ლექტორ-თანამშრომელთა სახელით დიდ წარმატებას ვულოცავთ ქართველ ძიუდოისტებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ევროპის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში.

ვამაყობთ, რომ გამარჯვებულთა შორის ჩვენი ინსტიტუტის ბიოლოგია - გეოგრაფიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი როინ მაღალთაძეც იყო. მან წარმატებით გააგრძელა ინსტიტუტის სახელოვანი სპორტული ტრადიციები და თავისი გამარჯვებით კიდევ ერთი ფურცელი ჩაწერა ქართული სპორტის დიდებულ მატიანეში.

ბ. ხაჩიძე,
გორის პედინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონული მილიციის განყოფილების (უფროსი გ. კოდუა) მუშაკებმა თავიანთ ეზოში მოაწყვეს ფრენბურთის მოედანი, სადაც ვარჯიშიც შეიძლება და ამხანაგური შეხვედრების გამართვაც.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## ცხრაწყაროს ფერდობებზე

გაფხული ბაკურიანსაც ეწვია. კარგა ხანია მიწყდა მოთხილამურეთა ყიჟინა. მოსწავლეთა საკავშირო ტურნირის შემდეგ აქ არც ერთი შეჯიბრება აღარ ჩატარებულა. და აი, ამ ხუთიოდე დღის წინათ კვლავ გამოჩნდნენ თხილამურებით შეიარაღებულნი — საქართველოს სპორტკავშირის პრიზის გათამაშების მონაწილენი. ეს შეჯიბრება სეზონის დახურვას მიეძღვნა.

სპორტსმენებითა და მაყურებლებით დატვირთული ავტობუსები ცხრაწყაროს გადასასვლელისკენ დაიძრა. იქ, ხევებში კიდევ დარჩენილა თოვლი და მთების უზარმაზარ თეთრ საკერებლებად მოჩანს. ზოგან 500-მეტრიანი ტრასის მოწყობაც შეიძლება, მაგრამ ტურნირის მონაწილეებისთვის 190 და 200-მეტრიანი ტრასები გაამზადეს. სპეციალური სლალომის ერთ ტრასაზე 32, ხოლო მეორეზე 34 კარი იდგა. საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი სათხილამურო სპორტში ფ. ნავერიანი არჩევანით კმაყოფილი იყო.

პრიზისთვის 4 სპორტის ოსტატი, 3 ოსტატობის კანდიდატი და 10-ზე მეტი პირველთანრიგოსანი იბრძოდა. მონაწილეებს 4-4 ცდა უნდა შეესრულებინათ. პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი (20,4 წამი) აჩვენა ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა შოთა კოზანაშვილმა. მეორე ცდაზე მისი შედეგი 0,9 წამით გააუმჯობესა თბილისის მწვრთნელთა სკოლის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა გ. აბრამიშვილმა, მაგრამ გამარჯვება არც მათ ეწერათ, არც სხვა ოსტატებს — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ი. ნასყიდაშვილსა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს ბ. კახიანს. მეტისმეტი რისკის გამო ოთხივე გამოეთიშა ტურნირს.

ყველას აჯობა ბაკურიანელმა რ. აკოფოვმა („დინამო"). 200-მეტრიან ტრასაზე პირველი ცდისას მან 20,8 აჩვენა, მეორე ცდისას კი 0,4 წამით უკეთეს შედეგს მიაღწია. მეორე ტრასაზე, რომელიც უფრო ციცაბო ფერდობზე მოეწყო, აკოფოვმა 22,4 და 23,3 აჩვენა,—სულ 1 წუთი და 27,3 წამი დახარჯა. ეს შედეგი 3,1 წამით სჯობს მეორე პრიზიორის, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის შალვა კოზანაშვილის („ბურევესტნიკი") მაჩვენებელს. III ადგილზე გავიდა ლ. ხუბაევი (ბაკურიანი) — 1.33,0.

ფ. ნავერიანის აზრით, ეს ტურნირი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სათხილამურო სეზონს ახანგრძლივებს და იალბუზის საერთაშორისო ასპარეზობისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია.

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.).

• • •





**სურათებზე:** ი. ნასყიდაშვილი (მარცხნივ) და ზ. ოგანეზოვი შეჯიბრების დროს.

ფოტო გ. ბიჭიკაევისა.

# „ჩვენ ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ“

## ინტერვიუ რეპორტაჟით

დევისის თასზე სსრ კავშირი—იუგოსლავიის მატჩის წინ ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივნის ვ. კოლეგორსკის საგანგებოდ „ლელოსთვის“ დაწერილ წერილს ასეთი სათაური ჰქონდა: „ანგარიში იქნება 3:2“. ბოლოს ავტორი წერდა: „...ვის სასარგებლოდ? ამის თქმა ძნელია. ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს“.

როგორც იცით, მატჩი სულ სხვაგვარად წარიმართა და ჩვენმა ნაკრებმა მაქსიმალური ანგარიშით გაიმარჯვა — 5:0.

რას იზამ, პროგნოზები ხშირად არ მართლდება. ამჯერად კი კოლეგორსკის ვარაუდის გამტყუნება თ. ლეიუსის მტკიცე ნებისყოფას უნდა მიეწეროს.

ტალინელი ჩოგბურთელი — სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი კარგა ხანია მისთვის ჩვეული ოსტატობით ვეღარ თამაშობს. სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებს იუგოსლავიელებთან მატჩში მაინცდამაინც დიდი წარმატების იმედი არ ჰქონდათ. მაგრამ მწარდ იუგოსლავიელ სპორტსმენთან ჟ. ფრანულოვიჩთან შეხვედრა ლეიუსმა მოიგო — 6:3, 2:6, 8:6, 7:5. პირველი ხელი მან დიდი აღმავლობით ჩაატარა, მაგრამ მომდევნო პარტიებში ფრანულოვიჩი ძალიან ოსტატურად თამაშობდა და ლეიუსი შეხვედრის ბოლოსთვის მთლად გამოიფიტა: მესამე პარტიაში ფრანულოვიჩს ორჯერ შეეძლო ერთი დარტყმით თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა ხელი და საბჭოთა ჩოგბურთელის მტკიცე ნებისყოფა რომ არა, მარცხი გარდუვალი იყო. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა მეოთხე პარტიაშიც.

ამ შეხვედრას ა. მეტრეველთან (მან მანამდე დაამარცხა ბ. იოვანოვიჩი) ერთად ვადევნებდი თვალს:

— რა გამოუვალ მდგომარეობაშიც უნდა იყოს, თომასი მაინც ბოლომდე თავგამოდებით იბრძვის და არასოდეს არ ყრის ფარ-ხმალს, — თქვა ალექსანდრემ.

და ეს მართალია. ლეიუსი მუდამ უშეღავათოდ იბრძვის ბოლომდე, თუმცა ამ უკანასკნელ ხანს ძალიან უჭირს. დაახლოებით ლეიუსის ძალისანი არიან ნაკრების დანარჩენი წევრები და ზოგიერთი კანდიდატიც. რაც მთავარია, ისინი, სამწუხაროდ, ძალიან ნელა იმაღლებენ ოსტატობას.

**!** სხვათა შორის, მოსკოვში მეტრეველმა კიდევ ერთხელ გამოთქვა საყვედური თბილისის კორტების უვარგისობის გამო. აბა, რას ჰგავს ის ფაქტი, რომ იუგოსლავიელებთან შეხვედრა თბილისის ნაცვლად მოსკოვში (აქ მაისისთვის უჩვეულოდ ცივი ამინდი იდგა) იმიტომ ჩატარდა, რომ ნაკრების ყველა წევრმა უარი თქვა თბილისში თამაშზე.

მეორე დღე ჩვეულებისამებრ წყვილთა შეხვედრას დაეთმო. მეტრეველი ტრადიციულად ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან ერთად იბრძოდა. პირველი ხელი მათ ძალიან იოლად მოუგეს იოვანოვიჩსა და ფრანულოვიჩს — 6:2. მეორე და მესამე პარტიებში ბრძოლა თანაბარი გამოდგა. უფრო მეტიც, — ორივე პარტიაში სტუმრებს გამარჯვების რეალური შანსიც ჰქონდათ. მაგალითად, მეორე პარტიაში იუგოსლავიელთა დუეტი დაწინაურდა — 4:2. შემდეგ ჩვენებმა იძალეს და ანგარიში გაათანაბრეს — 4:4. მომდევნო გეიმებში იუგოსლავიელები ხუთჯერ გავიდნენ წინ (5:4, 6:5, 7:6, 8:7, 9:8), მაგრამ საბოლოო გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწიეს. ბოლოს განსაკუთრებით იმარჯვა მეტრეველმა და დაძაბული მომენტებით მდიდარი ხელი მოვიგეთ — 11:9.

მესამე პარტიაში ჩვენები დაწინაურდნენ (3:1), მაგრამ იოლი მოგების იმედი ხანმოკლე გამოდგა. მეტოქეებმა კარგად გამოიყენეს საბჭოთა დუეტის რამდენიმე შეცდომა და არა თუ ანგარიში გაათანაბრეს, არამედ უპირატესობაც მოიპოვეს — 4:3. შემდეგ დაიწყო წაგებული და მოგებული გეიმების ურთიერთგაცვლა, ოღონდ ესაა, გადამწყვეტ მომენტამდე მუდამ იუგოსლავიელები იყვნენ წინ — 5:4, 6:5... მაგრამ მათ ვერ შეძლეს მეწინავეობის შენარჩუნება: დასკვნითი ნაწილი მეტრეველმა ულამაზესი და ძლიერი დარტყმებით დააგვირგვინა — 8:6.

მაშ ასე, სსრ კავშირის ჩოგბურთელებმა იუგოსლავიელებს მატჩი ვადამდე მოუგეს (3:0). მაგრამ არის შეჯიბრების რეგლამენტი, რომლის დაცვის სურვილი ორივე გუნდმა გამოხატა: ჩვენებმა ვარჯიშის, ხოლო ჩვენმა მეტოქეებმა პრესტიჟის აღდგენის მიზნით. ბუნებრივია, სტუმრებს არ სურდათ „მშრალად“ წაგება, მაგრამ ისინი ამაოდ დაშვრნენ: მეტრეველმა ფრანულოვიჩთან შეხვედრა ძალიან დინჯად, თავისუფლად ჩაატარა და გაიმარჯვა, ხოლო ლეიუსმა სძლია იოვანოვიჩს.

ერთი სიტყვით, ჩვენმა ჩოგბურთელებმა მართლაც ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში თვალსაჩინო გამარჯვებას მიაღწიეს. სწორად თქვა მეტრეველმა, ჩვენ ძლიერი მეტოქე დავამარცხეთო. მერე დაამატა: „ძალიან მომწონს ფრანულოვიჩი. იგი დიდი მომავლის ჩოგბურთელია“.

ახლა მოვუსმინოთ სტუმართა გუნდის კაპიტანს რამილო ნიკოლიჩს, რომელსაც ვთხოვე იუგოსლავიაში ჩოგბურთის განვითარების დონეზე ეამბნა:

**— ჩვენში ჩოგბურთს 10 ათასი კაცი თამაშობს, მუშაობს ჩოგბურთელთა 150 კლუბი. მათთან გახსნილია ბავშვთა სკოლები, სადაც 12-14 წლის გოგონები და ბიჭები მეცადინეობენ. სკოლის დამთავრების შემდეგ მათ უფლება აქვთ კლუბის წევრები გახდნენ.**

**ჩვენი ნაკრების წევრი, 21 წლის ჟელიკო ფრანულოვიჩი სპლიტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. ჩოგბურთს 12 წელია თამაშობს. 1964 წელს იუგოსლავიის იუნიორთა ჩემპიონი გახდა, შარშანდელი სეზონის მიხედვით კი უკვე ქვეყნის მეორე ჩოგანია (პირველი იყო ნ. პილიჩი, რომელიც ახლახან პროფესიონალებში გადავიდა). ფრანულოვიჩს დაუმარცხებია ისეთი ძლიერი ჩოგბურთელები, როგორიც არიან კოხი, მანდარინო (ორივე — ბრაზილია), ვილსონი, სანგსტერი (ორივე — ინგლისი), ოკერი (ჰოლანდია, იტალიის წლევანდელ ღია ჩემპიონატში გამარჯვებული), ცირიაკი (რუმინეთი)...**

**28 წლის ბორა იოვანოვიჩი ქვეყნის მესამე ჩოგანია. მან ზაგრების უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ორჯერ შედიოდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში. სამჯერ მოუგო ემერსონსა და სტოლეს (ორივე — ავსტრალია), ოთხჯერ — სანტანას (ესპანეთი), ხუთჯერ— პიეტრანჯელის (იტალია). 1962 წელს პილიჩთან ერთად უიმბლდონის ტურნირის წყვილთა ასპარეზობის ფინალისტი იყო.**

მოსკოვში იუგოსლავიის ნაკრებს ჩამოჰყვა ზაგრების რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტი ზრედ კრამერი. მან იუგოსლავიის ჩოგბურთის ისტორიაზე გვითხრა რამდენიმე სიტყვა:

**— დევისის თასის გათამაშებაში იუგოსლავიამ პირველად 1927 წელს მიიღო მონაწილეობა. დებიუტი ზაგრებში შედგა. ჩვენი მეტოქე ინდოეთის ნაკრები იყო. დავმარცხდით „მშრალი“ ანგარიშით — 0:8. 12 წლის შემდეგ კი დიდი წარმატება მოვიპოვეთ: მოვიგეთ ევროპის ზონის ფინალი გერმანიის ნაკრებთან. ამის შემდეგ ოთხჯერ ვიყავით ევროპის ზონის ფინალისტები: 1936 და 1938 წლებში (ფინალში ორივეჯერ დავმარცხდით გერმანიასთან ერთნაირი ანგარიშით — 2:3). 1946 წელს ფინალი წავაგეთ შვედებთან, ხოლო 1947 წელს — ჩეხოსლოვაკიელებთან.**

მაშ ასე, საბჭოთა ჩოგბურთელებმა მდიდარი ტრადიციის მქონე გუნდი დაამარცხეს და ევროპის ზონის „ა“ ჯგუფის ნახევარფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქე იტალიელთა მეტად ძლიერი ნაკრები, რომელმაც „მშრალად“ დაამარცხა მონაკოს გუნდი (5:0). თუნდაც ის რად ღირს, რომ იტალიის ღირსებას დაიცავენ საქვეყნოდ ცნობილი ჩოგბურთელები პიეტრანჯელი და მალიგანი. ამ მატჩის გამართვა განზრახულია 14-16 ივლისს (კუნეოსყრით — იტალიაში). ამის შესახებ გვესაუბრა ა. მეტრეველი. გარდა ამისა, მან კიდევ ზოგიერთ სხვა კითხვაზე გვიპასუხა.

— პიეტრანჯელი და მალიგანი რეკომენდაციას არ საჭიროებენ. მაგრამ მთავარია, სად ვითამაშებთ! მართალია, ეს კენჭისყრამ თითქოს უკვე გადაწყვიტა, მაგრამ ჩვენმა ფედერაციამ იტალიელებს სთხოვა თავად გვეწვიონ. ვეჭვობ, რომ მათ მოპატიჟება მიიღონ. მოსკოვის კორტები მეტად „სწრაფია“ ჩვენი მეტოქეებისთვის და, ბუნებრივია, თამაშიც გაუჭირდებათ. რომის „ფორო იტალიკოზე“ კი კორტები „რბილია“. ტრადიციად დამკვიდრდა: „რბილ“ კორტებს „იტალიურ კორტებს“ უწოდებენ და ამგვარ მოედნებზე ბევრ ძლიერ ჩოგბურთელს უძნელდება თამაში. მათ კატეგორიას მიეკუთვნება ჩვენი ლეიუსიც. ამიტომ ჩვენთვის იტალიელების თანხმობა სასურველია. დაგვეთანხმებიან კი?



— და მაინც, გამარჯვების იმედი გაქვთ?

**— მე მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლის იმედი მაქვს.**

... წლეულს მეტრეველი მართლაც კარგად იბრძვის: ინდოეთში გამართულ აზიისა და ინდოეთის ღია ჩემპიონატებში გაიმარჯვა. სხვათა შორის, ორივე ტურნირი ძალიან ძლიერი შემადგენლობისა იყო. შვეციის ღია ჩემპიონატში II ადგილზე გავიდა (წააგო დანიელ ლეშლისთან). საფრანგეთის რივიერაზე (კანი, მენტონა, ნიცა და მონტე-კარლო) ორ ერთეულთა ტურნირში უძლიერესი იყო, ორში II ადგილი ხვდა წილად, ვაჟთა წყვილების ოთხივე ტურნირი კი ლიხაჩოვთან ერთად დაუმარცხებლად განვლო. გაიმარჯვა შერეულ წყვილთა სამ ტურნირშიც. მეტრეველმა და ლიხაჩოვმა მოიგეს საქვეყნოდ ცნობილი ბატლერის პრიზი. ახლა მონტე-კარლოში სხვა ცნობილი სპორტსმენების გვერდით მარმარილოს დაფაზე მეტრეველისა და ლიხაჩოვის გვარებიცაა ამოტვიფრული. სხვათა შორის, ამ პრიზისთვის უკვე ოთხი ათეული წელია იბრძვიან მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები. საფრანგეთის რივიერაზე მეტრეველის გამოსვლა მართლაც იღბლიანი იყო. აქ მან 55 შეხვედრა ჩაატარა და აქედან 51 მოიგო.

კიდევ რამდენიმე შეკითხვა ა. მეტრეველს.

— „ლელოს“ მკითხველებს აინტერესებთ, როგორ აფასებთ თქვენს გამოსვლას იტალიის ღია ჩემპიონატში?

**— გასაგებია თქვენი შეკითხვა. მე იქ ნახევარფინალში თითქმის უბრძოლველად დავმარცხდი (2:6, 2:6, 2:6) ავსტრალიელ ჰიუიტთან. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მაინც მინდა სინამდვილე მოგახსენოთ. თბილისში საბერძნეთის გუნდთან გამართულ მატჩში არც ისე კარგად ვითამაშე და მატჩის დამთავრებისთანავე (კვირას, 5 მაისს) გეზი იტალიისკენ ავიღე. რომში ორშაბათს ვივარჯიშე, სამშაბათს მოვუგე კესლს (აშშ). შემდეგ ორ დღეს ვისვენებდი. ეს ერთის მხრივ კარგი იყო, მაგრამ დასვენების შემდეგ ზედიზედ სამმა შეხვედრამ მომიწია და ამან ცოტა არ იყოს მომქანცა. თან ყველა ბრძოლა მძიმე გამოდგა. ამერიკელი რიჩი (მის ძლიერებაზე ზედმეტია ლაპარაკი) 3 საათსა და 45 წუთში დავამარცხე. რუმინელ ცირიაკთანაც დიდხანს მომიხდა ბრძოლა — 4 საათი და 10 წუთი. ეს შეხვედრა საღამოს 8 საათზე დამთავრდა, მეორე დილით უკვე ჰიუიტთან ვთამაშობდი. მასთან წაგების მთავარი მიზეზი სწორედ ზემოაღნიშნული გადატვირთვა გახლდათ.**

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

— 14-16 ივლისს იტალიელებთან დევისის თასზე გვიწევს თამაში. შემდეგ პირდაპირ უიმბლდონს ვეწვევით. ბეკნემის ტურნირში წლეულს არ გამოვალთ, რადგან სწორედ იმ დროს დევისის თასზე იტალიელებთან გვაქვს შეხვედრა. ეს უახლოესი გეგმებია, შემდეგ კი ალბათ ჯერ ბოსტადში (შვეცია) გავემგზავრები, მერე კი სოფიაში — ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე.

ლუჟნიკის მცირე სარბიელზე მატჩი დამთავრდა, დავამთავრე საუბარი მეტრეველთანაც. იგი ახალი საზღვარგარეთული ტურნესთვის ემზადება, ჩვენ კი კვლავ დაველოდებით ტელეტაიპის ცნობებს — მეტრეველის ახალი გამარჯვებების მაუწყებელ ამბებს და გაზეთის მკითხველებს რამდენიმე სტრიქონით მივაწვდით მათ.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი — თბილისი.

* * *

სურათზე: ა. მეტრეველი თამაშისას.

ფეხბურთი

# ივნისის კალენდარი

## ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის

### III ზონა

**8.** „დილა“ (გორი) — „უროჟაი“ (ლაბინსკი), „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ტორპედო“ (არმავირი), „მეტალურგი“ (რუსთავი) — „უროჟაი“ (მაიკოპი).

**11.** „ურალანი“ (ელისტა) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „ალაზანი“ (გურჯაანი), „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „დილა“ (გორი).

**15.** „ურალანი“ (ელისტა) — „დილა“ (გორი), „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „ალაზანი“ (გურჯაანი).

**19.** „ურალანი“ (ელისტა) — „ალაზანი“ (გურჯაანი), „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „დილა“ (გორი), „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „მეტალურგი“ (რუსთავი).

**23.** „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ორიოლი), „დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი), „ალაზანი“ (გურჯაანი) — „შრ. რეზერვები“ (კურსკი).

**27.** „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შრ. რეზერვები“ (კურსკი), „დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (ორიოლი), „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი).

### IV ზონა

**8.** „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „გურია“ (ლანჩხუთი), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მერცხალი“ (მახარაძე), „ლორი“ (კიროვაკანი) — „შუქურა“ (ქობულეთი), „დინამო“ (სოხუმი) — „კახეთი“ (თელავი), „ენგური“ (ზუგდიდი) — „ტრუდი“ (კასპიისკი), „კოლხეთი“ (ფოთი) — „უროჟაი“ (დერბენტი).

**11.** „შუქურა“ (ქობულეთი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი), „კახეთი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „დინამო“ (სოხუმი), „უროჟაი“ (კრიმსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ენგური“ (ზუგდიდი).

**15.** „შუქურა“ (ქობულეთი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „სევანი“ (ოქტემბერიანი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი), „ტრუდი“ (კასპიისკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „კახეთი“ (თელავი) — „ლორი“ (კიროვაკანი), „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „ენგური“ (ზუგდიდი), „უროჟაი“ (კრიმსკი) — „დინამო“ (სოხუმი), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „კოლხეთი“ (ფოთი).

**19.** „შუქურა“ (ქობულეთი) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „ლერნაგორცი“ (კაფანი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი), „ტრუდი“ (კასპიისკი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „კახეთი“ (თელავი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი), „უროჟაი“ (კრიმსკი) — „ენგური“ (ზუგდიდი), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „დინამო“ (სოხუმი).

**24.** „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი), „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „კახეთი“ (თელავი), „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „შუქურა“ (ქობულეთი), „უროჟაი“ (გროზნო) — „გურია“ (ლანჩხუთი), „ირისთონი“ (მოზდოკი) — „მერცხალი“ (მახარაძე), „ენგური“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ფოთი).

**28.** „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „უროჟაი“ (კრიმსკი), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი), „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „კახეთი“ (თელავი), „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „მერცხალი“ (მახარაძე), „უროჟაი“ (გროზნო) — „შუქურა“ (ქობულეთი), „ირისთონი“ (მოზდოკი) — „გურია“ (ლანჩხუთი), „დინამო“ (სოხუმი) — „ენგური“ (ზუგდიდი).

სსრ კავშირის პირველობა

# ფოტოთვალით



## არნიმ დალის სახიფათო სამუშაო

წარსულში დასავლეთგერმანელი პროფესიონალი ველოსიპედისტი არნიმ დალი ახლა უამრავ სენსაციურ კინო და ტელეფილმში გამოდის. იგი თვითმფრინავიდან წყალში ხტება, მიჰქრის ცეცხლწაკიდებული მანქანით, ამტვრევს თავით ვიტრინების მინებს და ა. შ. იმ დროს, როცა სხვა ადამიანები ველოსიპედებით მოგზაურობენ ქუჩებში, დალი მრავალსართულიანი სახლის სახურავზე დაჰქრის (იხ. სურათი). მისთვის ეს „ჩვეულებრივი სამუშაოა".

თვით დალი ალიარებს, რომ სიამოვნებით მოკიდებდა ხელს უფრო წყნარ სამუშაოს, მაგრამ ეს ასე იოლი როდია. და ოჯახის გამოსაკვებად სპორტსმენი იძულებულია ასეთ რისკს მიმართოს.

„ვიცი, რომ ფულის გამო სიკვდილს ვეთამაშები, მაგრამ რა ვქნა — იძულებული ვარ ყოველივე ეს ვაკეთო", — ამბობს დალი.

დალი 87-ჯერ იწვა საავადმყოფოში. „მის სხეულში ძნელია იპოვნო ძვალი, რომელიც ერთხელ მაინც არ ყოფილიყო დამტვრეული, — წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი". — მისი ყველაზე ხანმოკლე ყოფნა საავადმყოფოში ერთი კვირაა. ხოლო ყველაზე ხანგრძლივი — 9 თვე".

დალის სიცოცხლე ბევრჯერ ეკიდა ბეწვზე. ერთხელ გადაღების დროს იგი დიდი სისწრაფით მიმავალი მატარებლიდან შვეულმფრენში უნდა გადამჯდარიყო. მატარებლისა და შვეულმფრენის სიჩქარე ერთნაირი არ გამოდგა და როცა სპორტსმენი შვეულმფრენიდან გადმოგდებულ თოკს მოეჭიდა, ხელი მოიტეხა, ხუთი მეტრის სიმაღლიდან ჯერ მატარებლის სახურავზე მოადინა ზღართანი, ხოლო იქიდან ლიანდაგზე დავარდა.

„ეს სასწაულია, რომ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია", — შენიშნავს ჟურნალი „კვიკი". თუ რა საჭიროა ასეთი „სასწაულები", ჟურნალი ამის თაობაზე სდუმს, მაგრამ ეს ყველასთვის ნათელია. დასავლეთში ბევრია დალის მსგავსი სპორტსმენი, რომლებიც იძულებული არიან ფულის გამო სიკვდილს ეთამაშონ.

ფოტო „კვიკი"-აას-ისა.



## ბლაიბერგი ვარჯიშობს

უკვე თითქმის 5 თვეა, რაც გადანერგილი გულით ცხოვრობს ფილიპ ბლაიბერგი. სამხრეთაფრიკელი ქირურგი კრისტიან ბერნარდი, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა ბლაიბერგს, ამტკიცებს, რომ ახლა მისი პაციენტი ჯანმრთელი ადამიანია და შეუძლია თითქმის ყველაფერი გააკეთოს, რასაც საღ-სალამათი ადამიანები აკეთებენ.

მსოფლიოს ბევრმა ჟურნალ-გაზეთმა დაბეჭდა ბლაიბერგის ფოტოსურათი, რომელზეც იგი აღბეჭდილია თავისი სპორტული ავტომანქანის საჭესთან (დიდი ხნის შესვენების შემდეგ ექიმებმა ბოლოსდაბოლოს მისცეს უფლება მანქანაში ჩამჯდარიყო). მაგრამ მხოლოდ საავტომობილო სპორტით როდია გატაცებული ბლაიბერგი.

აი, რას ამბობს კ. ბერნარდი:

„ჩემთვის — ექიმისთვის სპორტი მუდამ არის სამკურნალო თერაპიის საიმედო საშუალება. ამიტომ, როგორც კი დავრწმუნდი, რომ ბლაიბერგის ოპერაცია სავსებით ნორმალურად ჩატარდა და ორგანიზმი გადანერგილ გულს შეეთვისა, მე ხელად გამოვუწერე ბლაიბერგს სამკურნალო ფიზკულტურა. ახლა იგი, გარდა ჩვეულებრივი გასეირნებისა, ყოველდღე ფიზიკურად ვარჯიშობს, თანაც, თანდათან ართულებს ამ ვარჯიშებს. ყოველივე ამას იგი ყოველდღიურად დაახლოებით 40 წუთს ანდომებს".

თვითონ ბლაიბერგი ამბობს:

„ჩემი გადანერგილი გული შესანიშნავად უძლებს ფიზიკურ დატვირთვებს. რა თქმა უნდა, ჯერ შორსა ვარ იმ მდგომარეობიდან, როცა შეიძლება სერიოზულად მოჰკიდო ხელი კრივს ან ფეხბურთს. მაგრამ რა ვიცით, ეს დროც იქნებ დადგეს".

**ს უ რ ა თ ზ ე:** ბლაიბერგი დილის ტანვარჯიშის შესრულების დროს. გვერდზე მისი მეუღლე.

ფოტო „შტერნი"-აას-ისა.

### ◆ თელავი

„კლასიკოსთა" საქალაქო ჩემპიონატში 57 მოჭიდავე იბრძოდა. სხვებზე უკეთ იასპარეზეს სპორტის ოსტატ ვ. ფეტვიაშვილის აღსაზრდელებმა, რომლებმაც სპეციალისტთა საერთო მოწონება დაიმსახურეს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. ნონიკაშვილმა, მ. თათულიშვილმა, ტ. სისაურმა, ს. კევლიშვილმა, ვ. ციხელიშვილმა, დ. ბებოშვილმა, ბ. მაისურაძემ, დ. ოთარაშვილმა, ლ. ლაზარიშვილმა, ა. არუთინოვმა.

• • •

პიონერთა სახლის გარდამავალ თასზე შეჯიბრებაში 11 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა მიიღეს მონაწილეობა. თვითეულ გუნდში ორი ბიჭი და ერთი გოგო იყო. თასი მოიპოვეს სოფ. კონდოლის სკოლის მოსწავლეებმა.

გ. ელიოზიშვილი.

### ◆ ხაშური

მოეწყო რაიონული პირველობა კალათბურთში. ჩემპიონის წოდება მოიპოვა განათლების მუშაკთა პროფკავშირის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდა სალოკომოტივო დეპოს გუნდი, ხოლო III — მინის ტარის ქარხნის კოლექტივი.

ზ. მოსეშვილი.

### ◆ ქობულეთი

ჩატარდა სოფლის სკოლების მოსწავლეთა რაიონული ასპარეზობა მძლეოსნობაში. ტურნირში 12 კოლექტივის 161 სპორტსმენი ჩაება. მონაწილენი ამ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. უძლიერესი აღმოჩნდა მუხაესტატეს საშუალო სკოლის გუნდი. II ადგილზე გავიდა ჩაქვის რუსული საშუალო სკოლის, III — ციხისძირის საშუალო სკოლის კოლექტივი.

ლ. ტრაპაიძე.

### ◆ ჩხოროწყუ

რაიონის სოფლის სკოლების მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 10 საშუალო და 9 რვაწლიანი სკოლის გუნდები. საშუალო სკოლებში ყველას აჯობა პირველსკოლელთა კოლექტივმა, ხოლო რვაწლიან სკოლებს შორის — გარანელმა მოსწავლეებმა.

ი. ნაჭყებია.

### ◆ ვანი

დამთავრდა ეზოებისა და ქუჩების რაიონული პირველობა ფეხბურთში. უმცროს ასაკში გადამწყვეტი შეხვედრა შედგა შუამთის „გაზაფხულსა" და ადგილობრივ „იმედს" შორის. წარმატება წილად ხვდა „იმედს" — 1:0. უფროს ასაკში ერთმანეთს შეხვდნენ ბზვანის „დაფნა" და ვანის „ცისარტყელა". 11-მეტრიანი დარტყმების უკეთ შესრულების შეოხებით გამარჯვება მოიპოვა „ცისარტყელამ".

ა. ნიკოლეიშვილი.

### ◆ ლაგოდეხი

9 გუნდის 156 სპორტსმენი მონაწილეობდა მძლეოსნ უ რ ტურნირში. პირველობა მოიგეს ქალაქის კალინინის სახელობის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ სოფელ სვობოდნოეს საშუალო სკოლის მძლეოსნები.

ფ. კვირიკაშვილი.

## ტოკიოს ოლიმპიადის გმირი — მეცნიერებათა კანდიდატი

ლენინგრადი, 31 მაისი. (საქინფორმი). „მე აღარასოდეს დავუბრუნდები რინგს, არც მოკრივედ და არც მწვრთნელად", — განუცხადა ჟურნალისტებს ტოკიოს ოლიმპიადის საუკეთესო მოკრივემ ვ. პოპენჩენკომ მას შემდეგ, რაც დღეს მან ლენინგრადის წითელდროშოვან უმაღლეს საინჟინრო-ტექნიკურ სასწავლებელში დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

მაშ ასე: ტყავის ხელთათმნის უბადლო ოსტატი სამუდამოდ ეთხოვება სპორტის საყვარელ სახეობას. ამიერიდან იგი მთლიანად მეცნიერებას მიეცემა.

## საუცხოო სტარტები

22-23 ივნისს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირში წლევანდელი სეზონის უდიდესი მძლეოსნური შეჯიბრება, რომელშიც ყველა მოძმე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს გარდა, უცხოელი მძლეოსნებიც გამოვლენ. სწორედ ამ ტურნირისთვის საბჭოთა ათლეტების ძალთა შემოწმებას ისახავდა მიზნად 30-31 მაისს დნეპროპეტროვსკში, ტაშკენტში, კიშინიოვსა და ტალინში გამართული მატჩები.

კიშინიოვში ძალას ცდიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის კოლექტივები. ასპარეზობის პირველ დღეს დაწინაურდნენ საქართველოს მძლეოსნები — 63 ქულა. ეს II ადგილზე მყოფი აზერბაიჯანის გუნდის ნადავლზე 17 ქულით მეტი იყო. მეორე დღეს ჩვენებმა უპირატესობა შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია 18 წლის ბაქოელი სტუდენტის ნ. ბრინცევას და კიშინიოველი ვ. ბოლშოვის გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში. ბრინცევამ 176 სმ დაძლია, ბოლშოვმა — 212. 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. დელა-როსამ — 1:35.02,2.

უროს ტყორცნა ახლაც აზერბაიჯანის წარმომადგენელმა მოიგო, მაგრამ ამჯერად ტატარინცევის ადგილი ე. კონოვალოვმა დაიჭირა — 61,32 მ.

დნეპროპეტროვსკში უ კ რ ა ი ნ ი ს, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები ასპარეზობდნენ. პირველი დღის მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია მხოლოდ ლენინგრადელი ა. საგჩუკის შედეგი 400 მეტრზე რბენაში — 46,7. ასე სწრაფად ჩვენში წლეულს არავის ურბენია.

მეორე დღეს სიმაღლეზე ხტომაში თავი ისახელა მოსკოველმა ვ. გავრილოვმა. იგი მატჩის ნამდვილი გმირი იყო — 220 სმ დაძლია! მანამდე ასეთ შედეგს ჩვენში მხოლოდ ბრუმელმა და სკვორცოვმა მიაღწიეს. გავრილოვის მაჩვენებელი წლევანდელ სეზონში საუკეთესოა ევროპაშიც. 10.000 მეტრზე რბენა მოიგეს ნ. სვირიდოვმა (ვორონეჟი) და ვ. ალანოვმა (სვერდლოვსკი) — 28.34,4, რაც ასევე საუკეთესოა წლეულს ევროპაში. მსოფლიოში საუკეთესო შედეგით დაამთავრა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა ლენინგრადელმა ლ. ნაროდიცკიმ — 8.29,6. ამ სახეობის სპეციალისტი, ევროპის ჩემპიონი ვ. კუდინსკი (კიევი) ამჯერად 5000 მეტრზე ცდიდა ძალას და ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგიც (13.45,2) მოიპოვა. უკონკურსოდ მოასპარეზე სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა (ლ. ტკაჩენკო, გ. ბუხარინა, ვ. პოპკოვა, ლ. სამოტიოსოვა) 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი (44,7) აჩვენა. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ლენინგრადელმა ვ. გრუშკინამ — 176 სმ, ბირთვის კვრა — ნ. ჩიჟოვამ — 17,91 მ.

გუნდურ ჩათვლაში ყველას რსფსრ-ს სპორტსმენებმა აჯობეს. უკრაინელები მათ მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩნენ.

ტაშკენტში შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის მატჩში 100 მეტრზე თარჯრბენში ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი იშვა. მისი ავტორია ვ. კორსაკოვა (ყირგიზეთი) — 14,1. მანვე მოიგო 80 მეტრზე თარჯრბენი — 10,8.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ყაზახეთის სპორტსმენებმა.

ტალინში, სადაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ბელორუსიის გუნდები ასპარეზობდნენ, კვლავ გამოიჩინეს თავი ი. ლუსისმა და რ. კლიმმა: პირველის შუბი 86,30 მეტრზე გაფრინდა (სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში), მეორეს კი უროს ტყორცნაში საკუთარ საკავშირო რეკორდამდე 8 სმ არ ეყო. მან ამჯერად 72,28 მ აჩვენა. სიგრძეზე ხტომაში ლატვიის ახალი რეკორდით (634 სმ) გაიმარჯვა ე. რინგამ. ვაჟებშიც მისმა თანაგუნდელმა, 18 წლის ლ. მაგონემ იმარჯვა — 762.

გუნდური პირველობა ლატვიელებმა მოიგეს.



▲ მომავალი ოლიმპიადის მასპინძლის — მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ესტუმრა და ორი მატჩი გამართა იქაურ ოლიმპიურ ნაკრებთან. ორივე შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 3:2 და 3:1.

▲ კარგ სპორტულ ფორმაშია შვეიცარიელი ბირთვის მკვრელი ე. ჰუბაჰერი, რომელმაც ორი კვირის წინათ 18,18 მ აჩვენა. ახლახან მან ეს ეროვნული რეკორდი ერთბაშად 86 სანტიმეტრით გააუმჯობესა — 19,04 მ.

▲ კრივში ევროპის თასის ფინალში გავიდა იტალიის ნაკრები, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა (14:6) რუმინეთის გუნდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფაკულტეტის დეკანატი დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 3 ივნისს იწყება ზაფხულის სასწავლო-საგამოცდო სესია III კურსის სტუდენტებისთვის. I, II და IV კურსების სტუდენტებს მეცადინეობა დაეწყებათ 10 ივნისს.

წინა სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტები, რომლებიც არ გამოასწორებენ მდგომარეობას სესიის დაწყებამდე, სესიებზე არ დაიშვებიან.

მეცადინეობა დაიწყება 9 საათზე.

რეგისტრაცია ჩატარდება იმავე დღეს.

ფეხბურთი. ასკ-ს სტადიონი. საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 14 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. / 8/ უე 04099